პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 118 (2838) ● ხუთშაბათი, 17 ივნისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

სპორტის თერთმეტ სახეობაში მიმდინარეობდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს სპარტაკიადა. მოცურავეთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა სპორტკლუბ „სინათლის" გუნდის წევრი ნინო ქართველიშვილი, მან ყველას აჯობა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და მოიპოვა უფლება — თავისი საზოგადოების ღირსების დასაცავად იბრძოლოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში.

სურათზე: ნ. ქართველიშვილი.

ფოტო ი. იუნაევისა.

ჭადრაკის საათი!

● ჯერჯერობით 4:3...

● ფინალისტები გამოვლინდნენ

◆ ჰამბურგი, 16 ივნისი. ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური ჩემპიონატის IX ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდნენ უნგრელების მხრიდან. ჯერჯერობით ანგარიშია 4:3 ჩვენების სასარგებლოდ. პარტიები მოიგეს ბოლესლავსკიმ და ლუტიკოვმა. ყაიმით ითამაშეს პეტროსიანმა, სმისლოვმა, ბრონშტეინმა და შტეინმა. წააგო კროგიუსმა. გადადეს პარტიები ბოტვინიკმა, კორჩნოიმ და ლეინმა. იუგოსლაველები უგებენ რუმინელებს — 6,5:2,5, გფრ-ის მოჭადრაკეები — ჰოლანდიელებს — 5,5:2,5.

◆ მოსკოვი, 16 ივნისი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის ნახევარფინალური ტურნირები შაშში. I ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები, მეორედან — უკრაინისა და ესტონეთის კოლექტივები, ხოლო მესამედან — ლატვიისა და რსფსრ-ს მოშაშეები. საქართველოს გუნდი XIII-XVII ადგილებისთვის იბრძოლებს.

კანდიდატები ცნობილია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას (ფიფა) გაეგზავნა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის სია. 27 ივნისს მოსკოვში დანიის ნაკრებთან მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩისთვის სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სია ასე გამოიყურება:

მეკარეები — ვ. ბანიკოვი (კიევის „დინამო"), ა. კავაზაშვილი (მოსკოვის „ტორპედო"), ვ. მასლაჩენკო (მოსკოვის „სპარტაკი"); **მცველები** — ვ. პონომარიოვი და ა. შესტერნიოვი (ორივე—ცსკა), გ. რიაბოვი (მოსკოვის „დინამო"), ვ. დანილოვი („ზენიტი"), ვ. სარაევი (მოსკოვის „ტორპედო"); **ნახევარმცველები** — გ. ლოგოფეტი (მოსკოვის „სპარტაკი"), ვ. ვორონინი (მოსკოვის „ტორპედო"), ა. ბიბა (კიევის „დინამო"), გ. სიჭინავა (თბილისის „დინამო"); **თავდამსხმელები** — გ. ჰუსაინოვი (მოსკოვის „სპარტაკი"), ს. მეტრეველი, მ. მესხი, ვ. ბარქაია (ყველა — თბილისის „დინამო"), ვ. ივანოვი (მოსკოვის „ტორპედო"), ბ. კაზაკოვი (ცსკა), ა. ბანიშევსკი, ყ. ტუაევი (ორივე — ბაქოს „ნეფტიანიკი"), ე. მალაფეევი (მინსკის „დინამო"), ნ. ოსიანინი (კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი").

მოსკოვში ჩამოსვლამდე, 20 ივნისს, დანიელები საკუთარ მინდორზე ჩაატარებენ ამხანაგურ მატჩს შვეციის ნაკრებთან. ამ შეხვედრას დაესწრება სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ნ. მოროზოვი.

ცვლილებანი კალენდარში

დანიის გუნდთან მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩისთვის, აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონებთან — ბრაზილიელებთან შეხვედრისათვის უკეთ მომზადების მიზნით, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ გადაწყვიტა ჩემპიონატის მატჩები გადმოიტანოს 27-დან 26 ივნისისათვის, ხოლო 1 ივლისიდან — 30 ივნისისათვის. ცსკა-სა და ქუთაისის „ტორპედოს" შეხვედრა გაიმართება 1 ივლისს.

გუშინ...

გოლებში ნაკლებობა არ იყო

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 16 ივნისი.

სსრ კავშირი (ახალგაზრდული ნაკრები) — რუმინეთი (ახალგაზრდული ნაკრები) 3:4 (2:1).

სსრ კავშირი: ლეჟავა, ლოსაბერიძე, კოპინი, ჰელიძე, რეხვიაშვილი, ლინევი, ილიადი, ძიძიგური (მაზიაშვილი), ხუციშვილი, მაისურაძე, პილიპჩუკი.

რუმინეთი: დუკო, სტოლიანესკუ, პეტესკუ, დუმიტრუ, შტეფანი, ნაფტანაილო, პესკარლი, ნესტურესკუ (ვოინა), ფრაციოლია, რაკში, ხაიდუ.

მსაჯი მ. პირვინიემი (ფინეთი).

ახალგაზრდა რუმინელ ფეხბურთელთა თამაშმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე, მაგრამ ტრიბუნებზე მსხდომთაგან ბევრმა არ იცოდა, რომ ეს გუნდი უკვე 3 წელია ერთად ვარჯიშობს, ერთად გამოდის სხვადასხვა შეჯიბრებაში და, საერთოდ, ემზადება საიმისოდ, რომ მომავალში შექმნას თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ბირთვი. ამიტომ გასაკვირი არაა მათი ასეთი გააზრებული, კვალიფიციური და შეთამაშებული მოქმედება.

რუმინელები ძალზე დიდი სიზუსტით ასრულებენ ურთულეს კომბინაციურ გადაცემებს, გაბედულად, შეუცდომლად ურტყამენ კარში და, რაც მთავარია, დაუღალავად, ძალების დაუზოგავად იბრძვიან.

საბჭოთა გუნდი გუშინდელ მატჩში სამჯერ იყო წინ, მაგრამ არა თუ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება, დამარცხდა კიდეც, თუმცა თავდამსხმელებს რომ მეტი სიზუსტე გამოეჩინათ, წაგების თავიდან აცილება შეიძლებოდა.

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს მაისურაძემ (2) და პილიპჩუკმა, ხოლო რუმინელთაგან — ხაიდუმ, ნესტურესკუმ (2) და შტეფანმა.

ნაცნობი ბილიკებით

კ. ცალქალამანიძე ტრადიციას არ ღალატობს

მოტოკროსი დელისის იმ ტრასაზე გაიმართა, სადაც სამი თვის უკან ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატის I ეტაპი. ისე რომ, რესპუბლიკური ასპარეზობის მონაწილეთათვის რბოლა საკმაოდ რთული იყო და გამოცდა კარგად ჩააბარა იმან, ვინც სსრ კავშირის პირველობაში გამოდიოდა, ან ამ ტრასაზე რამდენიმე ვარჯიში მაინც ჩაატარა. ასეთნი მოხერხებულად ძლევდნენ დისტანციის ყველა მარყუჟს, ტრამპლინს, ციცაბო დაღმართსა თუ ხევს...

სპორტსმენებს 3 ცდით 30 წრე უნდა გაევლოთ. გამონაკლისს მხოლოდ ქალები და ჭაბუკები შეადგენდნენ, — ტრასა მათთვის გაიოლებული და განახევრებული იყო.

17 წელი შესწირა მოტოსპორტს სსრ კავშირის პირველობის არაერთგზის პრიზიორმა, 125 კბ სმ კლასის მოტოციკლებით რბოლაში საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა კ. ცალქალამანიძემ. ამ კროსამდე მან უკვე მოასწრო გამარჯვება საიპოდრომო მოტორბოლაში და ახლა აქ, „დუბლის" გაკეთების წყურვილით გამოვიდა. მაგრამ მას პირველსავე ცდაზე უღალატა... ძრავამ — იგი უბრალოდ ჩაქრა. გაჭირვებულდა და პატრონს ფარეხში შეაყვანინა თავი. სერია მოიგო თბილისელმა ა. ვავიანმა, რაც სერიოზული განაცხადი იყო ჩემპიონობაზე: ამ ტიტულის მოსაპოვებლად ვავიანს მომდევნო ორი სერიიდან ერთშიც ჰყოფნიდა გამარჯვება.

მაგრამ ცალქალამანიძე სულ სხვანაირად ფიქრობდა. პირველ სერიაში განცდილმა მარცხმა მას უკანდასახევი გზა მოუჭრა: ჩემპიონის ტიტულის დასაკუთრებისათვის დარჩენილი ორივე სერია უნდა მოეგო. თბილისელი ოსტატის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან „ფრიადზე" ჩააბარა ეს ურთულესი გამოცდა და მეორე სერიის ფინიშზე ცალქალამანიძემ წუთნახევრით მიასწრო მთავარ მეტოქეს — ვავიანს. ახლა ვავიანს მხოლოდ ის უპირატესობაღა დარჩა, რომ მესამე სერიაში ცალქალამანიძესთან ერთნაირი შედეგის ჩვენების შემთხვევაში პირველობას იხვეჭდა.

მართლაც თავგამოდებით იბრძოდა მესამე, გადამწყვეტ სერიაში ვავიანი. ათივე წრეზე იგი კვალში უჯდა ცალქალამანიძეს, რამდენჯერმე დაწინაურებაც სცადა, მაგრამ ლიდერი წამითაც არ კარგავდა სიფხიზლეს.

და, აი, ფინიში. სერია მოიგო ცალქალამანიძემ, რომელიც ჩემპიონი გახდა. ვავიანი II ადგილით დაკმაყოფილდა.

ჩემპიონის საკითხი აქ თუ სამ სერიაში გადაწყდა, „175-ანებში" იგი პირველ ორ ცდაში გაირკვა: აქ ერთხელაც არავინ გაუშვა წინ თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის მეხუთეკურსელმა გ. ბეგიაშვილმა და I ადგილიც დაისაკუთრა. ბეგიაშვილი ორი წელია ვარჯიშობს დოსაafის ავტომოტოკლუბში. I თანრიგი წელს შეასრულა. ახლა კი გამოცდილ მეტოქეებთან, უპირველესად სოხუმელ რ. ლონერტთან და თბილისელ ე. მანუკიანთან (ისინი II და III ადგილებზე გავიდნენ) ჭიდილში მან საკმაოდ დიდი და დამსახურებული გამარჯვება მოიხვეჭა.

ასეთივე წარმატება ხვდა წილად ვ. კოტლიაროვსაც (თბილისი). მისი მუდმივი მეტოქე, არმიელი სპორტის ოსტატი თ. შალიბაშვილი II ადგილზე აღმოჩნდა. თავი ისახელა ცხაკაიელმა ვ. ფაჩუაშვილმაც, რომელმაც ბევრი გამოცდილი სპორსტმენი ჩამოიტოვა და III ადგილი დაისაკუთრა.

უკანასკნელმა სტარტმა სამი ჩემპიონი გამოავლინა — ორი ჭაბუკებში, ერთიც — ქალებში. სპეციალისტები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ თბილისის 52-ე სკოლის მეათეკლასელს, 18 წლის ა. კლდიაშვილს. სამი წელია ვარჯიშობს ეს ჭაბუკი ამ სახეობაში და უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია — შეასრულა I თანრიგი, მონაწილეობდა მარტში აქ გამართულ საკავშირო კროსში, ახლა კი „175-ანებით" ჭაბუკთა შეჯიბრებაში ბადალი არ აღმოაჩნდა. „125-ანებით" მისი თანატოლების ტურნირი მოიგო ე. სარქისოვმა. ქალებში გაიმარჯვა ვ. ბარასიკვამ (ორივენი — თბილისიდან).

აღსანიშნავია, რომ ამ დღის გამოვლენილი 6 ჩემპიონიდან ოთხის (ვ. კოტლიაროვი, გ. ბეგიაშვილი, ა. კლდიაშვილი და ე. სარქისოვი) მწვრთნელია ვ. ადელხანოვი.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. ქუთაისი.

ო. გელაშვილი.

ДОСААФ СССР
საქართველოს სსრ
III
სპარტაკიადა

• • •

სურათზე: ზევით — ტრასის ურთულეს მონაკვეთზე არიან „175-ანები". წინაა ამ კლასში საქართველოს ჩემპიონი გ. ბეგიაშვილი (№ 23); ქვევით — კ. ცალქალამანიძე რბოლის დროს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

მოსწავლეთა XVII...

ფეხბურთი

ყოჩაღ, ცხაკაიელებო!

ფეხბურთელთა ტურნირი დამთავრდა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი თასი მოიპოვა თბილისის I გუნდმა, ხოლო II და III ადგილებზე გამოვიდნენ ქუთაისისა და ცხაკაიას კოლექტივები.

შეჯიბრება საერთოდ ორგანიზებულად ჩატარდა, მაგრამ ნაკლი, რომელმაც თავი იჩინა ზოგიერთ კოლექტივში, სამწუხარო ფაქტად რჩება. მაგალითისთვის ავიღოთ აფხაზეთის მოსწავლეთა კოლექტივი. ზღვისპირელები თითქოს ურიგოდ არ უნდა მომზადებულიყვნენ სპარტაკიადისთვის. საამისოდ მათ აქვთ საკმაო ბაზებიც და პირობებიც. მაგრამ მოხდა პირიქით. გუნდმა ძალიან სუსტად ითამაშა, ისე, რომ ერთ ფრესაც კი ვერ მიაღწია 6 თამაშში და 0 ქულით დაამთავრა ტურნირი. ბურთების სხვაობაა 1—16 (?!).

რას მივაწეროთ ასეთი უსუსურობა? იმას ხომ არა, რომ აფხაზეთის ფეხბურთის მესვეურები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლე სპორტსმენებს? აუცილებელია, რომ ეს ფაქტი მსჯელობის საგნად იქცეს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციაში და განხილულ იქნას როგორც № 1 საგანგებო მდგომარეობა.

აფხაზეთის გუნდს „კვალში ჩაუდგა" ადრე კარგი ტრადიციების მქონე აჭარელთა კოლექტივიც. ვერც მან აჩვენა სათანადო მომზადება, მატჩები ჩაატარა უგეგმოდ, უშინაარსოდ და დაიკავა IV ადგილი. იგივე ითქმის გორისა (V ადგილი) და სამხრეთ ოსეთის (VI) კოლექტივებზე.

ტურნირში სასიხარულო მოულოდნელობასაც ჰქონდა ადგილი. ეს იყო ცხაკაიელთა დამაჯერებელი გამოსვლა. გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მის მიერ დაკავებული III საპრიზო ადგილი ასეთ კომპლექსურ ღონისძიებაში ძალზე მრავლისმთქმელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ფინალურ ტურნირამდე ცხაკაიელებმა მეორე ჯგუფში დამსახურებულად მოიპოვეს გამარჯვება და განათლების სამინისტროს გარდამავალი თასი.

მოგვყავს სატურნირო ცხრილის საბოლოო მდგომარეობა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
თბილისი I	6	6	0	0	16—3	12
ქუთაისი	6	4	1	1	8—4	9
ცხაკაია	6	3	0	3	10—6	6
აჭარა	6	3	0	3	7—11	6
გორი	6	2	1	3	11—9	5
სამხრეთ ოსეთი	6	1	2	3	6—10	4
აფხაზეთი	6	0	0	6	1—16	0

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

● **სკა (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

არმიელებს თავიდანვე მტკიცედ ეპყრათ ხელთ ინიციატივა, თუმცა პირველი ტაიმი მათ მოიგეს მხოლოდ 1 ბურთის სხვაობით. შემდგომ ანგარიში გაიზარდა 3:0-მდე და მხოლოდ მატჩის მიწურულში დააღწიეს სტუმრებმა თავი „მშრალად" დამარცხებას.

● **„სამეგრელო" (ზუგდიდი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:2. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).**

ტაიმის დასასრულს მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0. ეტყობა, გამარჯვება მათ გარანტირებულად მიიჩნიეს და მოადუნეს ტემპი. ამით კარგად ისარგებლა „შუქურამ" და გაიტანა ორივე საპასუხო ბურთი.

● **„მეშახტე" (ტყვარჩელი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). 0:1 მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).**

ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს ხელსაყრელ მდგომარეობათა გამოყენება და ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ ზესტაფონელებმა გაიტანეს ერთადერთი ბურთი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა.

● **„დილა" (გორი) — „სინათლე" (თბილისი) 2:3. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).**

მატჩის დასაწყისი მასპინძელთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა, რომლებმაც მე-9 წუთზე გაიტანეს ბურთი მეტოქის კარში — 1:0. მაგრამ თბილისელებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და შესვენებამდე დაწინაურდნენ კიდეც — 2:1.

მეორე ტაიმში ორივე მხარეს გატანილ იქნა თითო ბურთი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება დარჩათ თბილისელებს.

● **„მერცხალი" (მახარაძე) — „ცისკარი" (ცხაკაია) 3:4. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

● **„გურია" (ლანჩხუთი) — „წინსვლა" (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).**

შეხვედრა ძალიან საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. უკვე მე-3 წუთზე ნარიაშვილმა შორი მანძილიდან გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში, რომელიც მოხვდა ერთ-ერთ მცველს და ჩაიჭრა ბადეში — 1:0. სტუმრები მთელი მონდომებით იბრძოდნენ თანაფარდობის აღსადგენად და მეორე ტაიმში საწადელს მიაღწიეს.

● **„ბახმარო" (ჩოხატაური) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:0. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

● **„განთიადი" (ბორჯომი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:0. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).**

სტუმრები გათამაშების ცხრილში იმყოფებოდნენ 11 ადგილზე, ხოლო მათი მეტოქე — მხოლოდ მეთოთხმეტეზე. მიუხედავად ამისა, ბორჯომელებმა თავიდანვე აგრესიულად, სწრაფად წარმართეს თამაში. ამ აგრესიულობაში საკმაო დოზით ერია უხეშობაც, რის გამოც მათი მოთამაშე ქართველიშვილი გაძევებულ იქნა მინდვრიდან. მაინც, „განთიადი" აღმავლობით თამაშობდა მთელი მატჩის განმავლობაში და მიაღწია კიდეც გამარჯვებას.

საჭიროა ხაზი გაესვას ერთ არანორმალურ მდგომარეობას: ბორჯომის „განთიადში" სათანადო ყურადღება არ ექცევა აღმზრდელობით მუშაობას და მოთამაშეთა მინდვრიდან გაძევებას სისტემატური ხასიათი მიეცა.

მეორე ქვეჯგუფში

I ზონა: „სამცხე" (აწყური) — „ქართლი" (გორი) 1:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ირისტონი" (ცხინვალი) 1:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „კახეთი" (ველისციხე) 2:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 1:2, „ისანი" (თბილისი) — „ნადიკვარი" (თელავი) — 4:2.

II ზონა: „ჭიხურა" (საჩხერე) — „სულორი" (ვანი) 2:2, „სამგურალი" (წყალტუბო) — „დინამო" (ქუთაისი) 1:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:2, „თოლია" (ფოთი) — „ცისკარა" (ბათუმი) 3:1, „კოლხიდა" (ხობი) — „აერო" (გალი) 3:1.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 16 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია" ლანჩხუთი	11	7	2	2	16—8	16
„სინათლე" თბილისი	11	4	6	1	17—12	14
„მესხეთი" ახალციხე	11	6	2	3	13—9	14
„შუქურა" ქობულეთი	10	4	5	1	19—14	13
„თოლია" თბილისი	11	3	7	1	14—11	13
„წინსვლა" წულუკიძე	12	5	3	4	17—21	13
სკა თბილისი	12	2	8	2	21—14	12
„ცისკარი" ცხაკაია	11	4	4	3	18—15	12
„მეშახტე" ტყვარჩელი	11	5	2	4	10—12	12
„დილა" გორი	11	5	1	5	18—15	11
„სამეგრელო" ზუგდიდი	12	3	5	4	10—15	11
„მეტალურგი" ზესტაფონი	11	3	4	4	10—11	10
„განთიადი" ბორჯომი	11	3	4	4	9—16	10
„მაღაროელი" ჭიათურა	11	4	1	6	17—19	9
„ლოკომოტივი" სამტრედია	12	1	6	5	8—11	8
„ბახმარო" ჩოხატაური	11	1	5	5	8—16	7
„მერცხალი" მახარაძე	11	1	3	7	12—18	5

მეორე ქვეჯგუფი

I ზონა

„მეტალურგი" (რუსთავი)	5	3	2	0	10—5	8
„კოლმეურნე" (მარნეული)	6	3	1	2	12—9	7
„სამცხე" (აწყური)	6	2	3	1	7—6	7
„ბახტრიონი" (ახმეტა)	4	3	0	1	8—4	6
„ისანი" (თბილისი)	5	2	2	1	8—5	6
„ირისტონი" (ცხინვალი)	5	2	1	2	6—5	5
„ნადიკვარი" (თელავი)	5	2	1	2	10—9	5
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	6	2	0	4	6—11	4
„დურუჯი" (ყვარელი)	4	1	1	2	6—6	3
„ქართლი" (გორი)	4	1	1	2	3—7	3
„კახეთი" (ველისციხე)	6	1	0	5	5—14	2

II ზონა

„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	7	6	0	1	25—5	12
„აერო" (გალი)	7	5	0	2	15—8	10
„ცისკარა" (ბათუმი)	7	5	0	2	12—8	10
„თოლია" (ფოთი)	6	4	0	2	10—6	8
„სამგურალი" (წყალტუბო)	6	3	2	1	5—3	8
„კოლხიდა" (ხობი)	6	3	1	2	7—8	7
„სულორი" (ვანი)	5	2	2	1	9—12	6
„ჭიხურა" (საჩხერე)	6	2	1	3	8—11	5
„ხალხინო" (გეგეჭკორი)	6	2	0	4	7—9	4
„დინამო" (სოხუმი)	5	1	1	3	6—10	3
„დინამო" (ქუთაისი)	5	0	1	4	3—13	1
„საირმე" (მაიაკოვსკი)	6	0	0	6	3—17	0

ღირსეული მეტოქეობა

ტანვარჯიში

უკვე პირველი იარაღიდან ნათელი გახდა, რომ თბილისელ ტანმოვარჯიშეებს ქუთაისელთა სახით ძლიერი მეტოქე ეყოლებოდათ. მართალია, დედაქალაქის კოლექტივმა ამჯერადაც მოიგო პირველობა, მაგრამ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქუთაისელები ღირსეულად ებრძოდნენ ძლიერ მეტოქეს და დამსახურებულად დაიკავეს II ადგილი. დაძაბული „ჭიდილი" გაჩაღდა III საპრიზო ადგილისთვის. საამისოდ პრეტენზიას აცხადებდნენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ტანმოვარჯიშეები. მესამე პრიზიორი გახდა აფხაზეთის კოლექტივი.

II ჯგუფის გუნდებს შორის ყველას აჯობეს გორის წარმომადგენლებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ზუგდიდისა და ფოთის გუნდები.

ოსტატთა პროგრამით გოგონათა პირად ასპარეზობაში გაიმარჯვა თბილისელმა ვ. ადამაშვილმა — 37,45 ქულა. II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი რ. ბერიკაშვილი (37,25), ხოლო მესამეზე — ქუთაისელი ნ. ბაბუნაშვილი (37,05).

პირველთანრიგოსან გოგონებში საუკეთესო იყო დ. ჯაფარიძე (თბილისი). II და III ადგილებზე არიან აფხაზეთის სპორტსმენები ტ. მაკიენკო და ა. კარტალაპოვა.

ორძელსა და ბჯენით ხტომებში ოსტატთა პროგრამით გაიმარჯვა ვ. ადამაშვილმა, დვირზე — მ. დავითაშვილმა (თბილისი), თავისუფალ ვარჯიშში კი — ნ. ბაბუნაშვილმა.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით ვაჟებში გაიმარჯვა თბილისელმა ა. სიმონიანმა — 51,6 ქულა. შემდეგ არიან გ. ლოლაძე (თბილისი) და გ. გობეჩია (ფოთი). პირველთანრიგოსნებში ყველას აჯობა თბილისელმა ა. გნოლიძემ. II და III ადგილები დაისაკუთრეს ქუთაისელებმა რ. მიქაუტაძემ და რ. შარვაშიძემ. მეორეთანრიგოსანთა შორის იმარჯვა ო. გაზაევმა (სამხრეთ ოსეთი). II ადგილზეა მ. ნინოშვილი (გორი). III ადგილი გაიყვეს სოხუმელმა ვ. ციბულკინმა და ბათუმელმა ს. მურადიანმა.

ცალკეულ იარაღებზე ოსტატობის კანდიდატის პროგრამით ექვსივე იარაღზე ტოლი არ ჰყავდა ა. სიმონიანს.

შეჯიბრების პროცესში ზოგიერთი მწვრთნელი და წარმომადგენელი მსაჯებთან ხმამაღალი შეკამათების უფლებას აძლევდა თავის თავს, რამაც არასასურველი დამოკიდებულება შექმნა როგორც ტანმოვარჯიშეებს, ისე მწვრთნელებს შორის. ეს ყოვლად არანორმალური ფაქტია!

ო. ქორქია,
სპორტის ოსტატი.

რუსთავში ჩატარდა „განთიადის" პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

სურათზე: ასპარეზობის მონაწილეთა — გ. ჩაქიაშვილისა და ი. ბუგაევის შეხვედრის მომენტი.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

ტრადიციული პირველობა ბაქოში

დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში მიმდინარეობს ამიერკავკასიის უსინათლო მოჭადრაკეთა II პირად-გუნდური პირველობა. ტურნირში თვითეული რესპუბლიკიდან 4-4 მოჭადრაკეა ჩაბმული. საქართველოდან თამაშობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ნ. მირონოვი (შარშანდელი ჩემპიონი) და გ. ჰუმბურიძე, აგრეთვე სოლანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყების მუშები გ. კოკაშვილი და გ. ვეფხვაძ

უკვე განვლო ხუთმა ტურმა. წ არიან გ. ვეფხვაძე, ზ. მაკიჩია (სომხეთი), გ. შაფიევი (აზერბა ჯანი) — 4-4 ქულა, ნ. მირონოვ 3. გუნდურ ჩათვლაში მდგომარ ობა ასეთია: საქართველო — 1 ქულა, სომხეთი — 10, აზერბაიჯ ნი — 9.

ა. დავლიანიძ
(ჩვენი სპეც. კორ.)

ბაქო.

„სპარტაკი" ამოწმებს ძალებს

მძლეოსნები მზად არიან

თბილისში, „ბურევესტნიკის" სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი შეჯიბრება მძლეოსნობაში. ასპარეზობის მიზანი იყო უძლიერესთა შერჩევა გუნდისთვის, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

ბრძოლებს სიმწვავე იმანაც შემატა, რომ ტურნირში კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ზოგიერთი სხვა საზოგადოების მძლეოსნებიც. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა პირველად შეასრულა ოსტატობა. ეს იყო „ლოკომოტივის" სპრინტერი, ექიმი რ. სერებრიანი, რომელმაც 100 მეტრზე ერთ წინასწარ გარბენში აჩვენა საქართველოში სეზონის საუკეთესო შედეგი — 10,4. ფინალში ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა სპარტაკელ ოსტატ ე. ლომთაძეს და პირველობაც მას დარჩა.

თბილისელმა სპორტის ოსტატმა ლ. დარახველიძემ გაიმარჯვა სამხტომში — 15,63 მ, ხოლო ბორჯომელ სპორტის ოსტატ ა. ოგანეზოვს სათანადო კონკურენცია ვერავინ გაუწია სიმაღლეზე ხტომაში (195 სმ.). 1500 მეტრზე რბენა მოიგო ა. შიტუხინმა — 4.01,4, ხოლო 400 მ რბენა — ტ. ბახტაძემ („ლოკომოტივი") — 49,0.

100 მ კარგად ირბინა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლე ვ. ნოვიჩიხინამაც. აღნიშნული მანძილი მან 12,3 წამში დაფარა და შეასრულა I თანრიგი. სამწუხაროდ, ეს იყო ერთადერთი დამაკმაყოფილებელი შედეგი ქალთა ტურნირში.

ასპარეზობამ ცხადყო ისიც, რომ „სპარტაკის" ორგანიზაციების უმეტესობაში კვლავ მეტად სუსტად ზრუნავენ „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის. რაიონული და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეები ცუდად ასრულებენ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას, რის გამოც შეჯიბრებაში პერიფერიების მხოლოდ რამდენიმე მძლეოსანი მონაწილეობდა.

ო. ივდოშვილი.

ორი ტურნირი

თბილისში, სპორტკლუბ „სინათლის" საჭიდაო დარბაზში ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ეპიტაშვილი (საგარეჯო), ა. ხვედელიძე (თბილისი), გ. ნათობაძე (თბილისი), ბ. გუჯარაიძე (სამტრედია), ნ. წიკლაური, დ. მაჭავარიანი (ორივე — თბილისი), ს. ზუკაკიშვილი (საგარეჯო) და გ. პაპიძე.

მანამდე ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირა გუნდური პირველობა თავისუფ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში I ადგი დაიკავა ქუთაისის ნაკრებმა. მე რე ადგილზე გავიდა თბილის გუნდი, ხოლო მესამეზე — სა ტრედიისა. წონითი კატეგორიებ მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გოძიაშვილი, ნ. გაჩეჩილაძე (ორ ვე — თბილისი), ა. მეტრეველ (ქუთაისი), ე. გორგაძე (თბილის დ. ქინქლაძე (აჭარა), თ. გოგო ძე (თბილისი), გ. გობეჯიშვილი შ. შაშუაშვილი (ორივე—ქუთაის ორივე სახეობაში შეჯიბრება ლალ დონეზე ჩატარდა.

შ. ნოზაძ

სსრ კავშირის დამსახურებუ
მწვრთნელი.

სიახლეს ფეხდაფეხ მივყვეთ!

ვ. მდივანი

რა კუთხითაც უნდა მივუდგეთ საკითხს, ერთი რამ ცხადია: საკავშირო ფედერაციამ საგრძნობლად შეამცირა თავისი ინტერესების სფერო და იგი დაიყვანა მხოლოდ-დამხოლოდ ნაკრებზე ზრუნვამდე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაკლოვანებათა დადგენა და მათი აღმოფხვრა პროგრესის ძირითად სტიმულატორს წარმოადგენს. ვარდისფერი სათვალის მიღმა ნაკლოვანებანი ხშირად შეუმჩნეველი რჩება და ზოგჯერ ისინი ღირსებადაც კი გვეჩვენება. აი, ეს უარესია.

ასეთი ბოროტი სამსახური გაუწია ვარდისფერმა სათვალემ ს. სპანდარიანს, რომელიც ზემოხსენებულ წერილში ფაქტიურად აიდეალებს ჩვენს კალათბურთში შექმნილ მდგომარეობას. ამის თეორიულ ბაზას მწვრთნელი ხედავს თეზისში, რომლის მიხედვითაც თამაშის ორგანიზაციის მთელი სიბრძნე მდგომარეობს მოთამაშეთა საუკეთესო თვისებების მაქსიმალურად გამოყენებაში. სხვათა შორის, ამ არც თუ ისე ორიგინალური აზრით კი არ მთავრდება, არამედ იწყება მისი ტაქტიკური მეცნიერება.

ტაქტიკა არა მარტო საკუთარი მოქმედების ორგანიზაციაა, არამედ მეტოქის დეზორგანიზაციის საშუალებაც. ყოველმა სპორტსმენმა უნდა გააკეთოს ის, რაც თავად ეხერხება და ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეს ასეთივე ამოცანის გადაწყვეტაში. ამას მოითხოვს სპორტული ბრძოლის რეალური პირობები.

ჯერ ერთი, ცხადია, რომ იგივე ა. ალაჩაჩიანი უფრო ადვილად შეასრულებს დისპეტჩერის მოვალეობას, ხოლო გ. ვოლნოვი — სნაიპერის ფუნქციებს, თუ მათ სხვა გეგმით თამაშის უნარიც ექნებათ.

მეორეც, განა ყოველ ჩვენთაგანს არ უნახავს გუნდის გაჭირვებული თამაში, როდესაც იგი ოფლს ღვრის თავისი „შტატიანი" სნაიპერისთვის სასროლი პოზიციის შესაქმნელად, ან როცა მეტოქეს საიმედოდ ჰყავს ჩაკეტილი ამ გუნდის „შტატიანი" გამთამაშებელი?

საერთოდ კი, თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრაში ურთიერთძლიერი მხარეების ნეიტრალიზაცია ისეთ ხარისხს აღწევს, რომ ბრძოლის ბედი მეტწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეასრულებს ესა თუ ის კალათბურთელი არა თავის ძირითად როლს, არამედ „უცხოს". თანამედროვე კალათბურთში ერთი კოზირით ფონს ვერ გახვალ. ყოველივე დამოკიდებულია მოთამაშეთა მრავალმხრივობის ხარისხზე.

ს. სპანდარიანი კი არსებითად წინააღმდეგია მრავალმხრივობისა. ასეა, როცა იგი თანაგრძნობით გადმოგვცემს სხვის აზრს იმაზე, რომ სნაიპერი „...მუდამ უნდა ისროდეს" და სხვებს არ აძლევდეს ტყვიებს; ასეა, როდესაც იგი გაკიცხვით აცხადებს: „სნაიპერ გ. ვოლნოვისგან ითხოვენ ფარვასა და ბურთის გათამაშებას, გონებამახვილი გამთამაშებლის—ა. ალაჩაჩიანისგან კი—სნაიპერობას". მაგრამ ხომ სწორედ ამაში მდგომარეობს კალათბურთის ანბანი?!

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს საერთოდ ვიყო სპეციალიზაციის წინააღმდეგი. სპეციალიზაცია გონივრული ტაქტიკის საფუძველია. მე იმ სპეციალიზაციის წინააღმდეგი ვარ, რომელიც ერთგულად დარაჯობს გუშინდელი დღის კალათბურთს.

ამ ცალმხრივობის ნაცვლად დღეს კალათბურთს მაქსიმალური მრავალმხრივობა უნდა მოვთხოვოთ. სპორტსმენი ერთ სფეროს მართლაც განსაკუთრებით კარგად უნდა ფლობდეს, მაგრამ მას ამავე დროს „ხელიდან უნდა გამოსდიოდეს" ყველაფერი, რისგანაც შედგება თამაში: ე. ი. საიმედო მოქმედება დაცვაშიც, ბურთის გათამაშებაც, ზუსტი სროლაც და ა. შ. ერთი სიტყვით, სპეციალიზაცია იმას კი არ გულისხმობს, რომ სპორტსმენებმა სრულიად სხვადასხვა რამ აკეთონ, არამედ იმას, რომ თავიანთი როლისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ერთიდაიგივე რამ სხვადასხვაგვარად განახორციელონ. სპეციალიზაციის სწორი განვითარება სწორედ ასე გვაქვს წარმოდგენილი.

ავიღოთ „გიგანტები" და „პატარები". ვინ დააკანონა, მაგალითად, რომ ზოგიერთებს სროლა ნებადართული აქვთ, ზოგიერთებს კი არა? ყველას ერთნაირი უფლება აქვს! უფრო მეტიც: ყველანი ვალდებულნი არიან! მაგრამ „გიგანტები", რომლებიც სიმაღლის გამო ფარქვეშ თამაშისკენ უფრო ილტვიან, მაღალი ბურთისთვის ბრძოლასა და სპეციფიკურ სროლებში (პოზიციისა და შესრულების აზრით) ხელოვნდებიან. „პატარები" კი, რომლებიც უმეტესად მოედნის შუაგულს არიან დაფუძნებულნი, ისვრიან შორიდან და ფარქვეშ გასვლით სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებენ. სპეციალიზაცია მხოლოდ მოთამაშეთა სიმაღლეს როდი გულისხმობს. მას უფრო ღრმა ფესვები აქვს. ყოველ ამპლუას თავისი სათამაშო თავისებურება ახასიათებს. ყოველ მოთამაშეს თავისი ნიჭისა და უნარის გათვალისწინებით მოქმედების საყვარელი მანერა აქვს. მაგრამ მას, ვინც მაღალ ოსტატობაზე აცხადებს პრეტენზიას, საკმაოდ კარგად უნდა შეეძლოს დაცვაში თამაშიც, ბურთის გათამაშებაც და კალათში უშეცდომოდ სროლაც.

ა. ალაჩაჩიანი ჩვენში ხატად გადააქციეს. თქმა არ უნდა, იგი უბადლო ორგანიზატორი და სწრაფად მოაზროვნეა. მე მას გულმოდგინედ ვადევნებდი თვალს საკავშირო ჩემპიონატში და დავრწმუნდი, რომ „ხანდაზმულობის" (35 წელი) მიუხედავად, იგი ძველებური ალაჩაჩიანია. მაგრამ დიდმა კალათბურთმა ალაჩაჩიანი უკვე მოილია. დღეს იგი აღარ წარმოადგენს უკანა ხაზის მოთამაშის ეტალონს. სროლების უქონლობის გამო მოწინააღმდეგე მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს (ასე იყო მოსკოვში, მადრიდის „რეალთან" მატჩში) და თავის თავს მინდობილი, იგი უფრო მეტად რეაქტიული მოჩანს, მაგრამ ეს მოჩვენებითი ეფექტურობა გუნდს ძვირად უჯდება. ალაჩაჩიანის უშედეგო „თავისუფლება" დანარჩენ პარტნიორებს დათვურ სამსახურს უწევს, რადგან დამატებით მეტოქის ერთი მცველი თავისუფლდება. ერთია, რომ ალაჩაჩიანს თავისი წვლილი არ შეაქვს გუნდის საერთო ყულაბაში, მისი უნებლიე მიზეზით სხვა მოთამაშეებსაც გუნდისთვის ნაკლები სარგებლობა მოაქვთ. ეს უკვე მანქანის ფიზიკური წუნი კი არა, მორალური დეფექტია და იგი ვერ ეხმაურება დროის მოთხოვნებს. ექსტრა-კლასის მომავალ „პატარებს", ალაჩაჩიანისთვის დამახასიათებელი თვისებების გარდა უნდა ახასიათებდეთ მოქნილი დაცვა და, რაც მთავარია, ნამდვილი სნაიპერული ჩვევები.

ა. ალაჩაჩიანი ჩვენი საუბრის სპეციალურ თემას არ წარმოადგენს. ჩვენ მასზე იმდენად შევჩერდით, რამდენადაც თანამედროვე კალათბურთში ყოველი მოთამაშე ყველაფრით, მაგრამ ამასთან თავისებურად უნდა იყოს დასაქმებული.

აი, თუნდაც ნაკრების „პატარები": ტრავინი, ხრინინი და, ნაწილობრივ, საკანდელიძე, რომლებიც, მართალია, შედეგიანობით გამოირჩევიან, მაგრამ იმდენად მცველებს არ წარმოადგენენ, რამდენადაც „უკანა თავდამსხმელებს". ჩვენ კი გვჭირდება ალაჩაჩიანის, ან მინაშვილის ტიპის მცველები, ოღონდ ზუსტი სროლებით. ამ „პატარებს" სნაიპერული თვისებები შერწყმული უნდა ჰქონდეთ თავიანთ მთავარ ამოცანასთან — მოწინააღმდეგის შეტევათა დანგრევასთან და დირიჟორულ მოვალეობასთან. გამოდის კი, რომ ჩვენ შედეგიანი „პატარები" გვყავს, ნამდვილი მცველები კი — არა. მაგრამ დაცვა რომ საქმის ნახევარია?!

საერთოდ კალათბურთში პირველი როლი უდავოდ ენიჭებათ ცენტრალურ თავდამსხმელებს. ჩვენ ამდენ ხანს როგორღაც ვერ შევიგნეთ, რომ ამერიკელებთან პირველივე ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ვაგებთ ცენტრალურ თავდამსხმელთა დუელს. მათი ცენტრები თამაშის კლასით მუდამ მთელი თავით მაღლა იდგნენ ჩვენს კალათბურთელებზე, ეს კი უპირატესობის გადამწყვეტი ფაქტორია.

ამერიკელთა ცენტრალური თავდამსხმელები ნამდვილი ლიდერები არიან. ჩვენი? გულახდილად რომ ვთქვათ, ა. პეტროვი ექსტრა-კლასისაგან შორსა დგას. მე მგონია, რომ იგი გაიყინა ახალი ტიპის ცენტრალური თავდამსხმელის მისადგომებთან. იქნებ მას საამისოდ აკლია ათლეტურობა, ტექნიკური სრულყოფა და ტაქტიკური აზროვნება. თუმცა ყველა ამ ნაკლს მასში ერთგვარი ინერტულობა ჭარბობს. სიმაღლის მიუხედავად, ფარქვეშ თამაშისას მას დამაჯერებლობა აკლია; ბურთის გათამაშებისას იგი მოვლენათა წარმართვას კი არ ცდილობს, არამედ მათ გაგებას. და მაინც, პეტროვის მთავარ ნაკლად მიმაჩნია შემდეგი: ამერიკელთა ცენტრალური თავდამსხმელების მსგავსად იგი ვერ ახორციელებს მეტოქის ფარზე გამანადგურებელ დაწოლას. შეტევის დროს იგი უკანდახევას დაეჩვია, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ საშუალო დისტანციიდან დაბომბოს კალათი. ფრონტალური პოზიციიდან გამორბენით ფარზე შეტევის თავი კი მას არა აქვს. სამწუხაროდ, არცა გვყავს ნამდვილი ცენტრალური თავდამსხმელი-გიგანტი. აი, საჭირო სიმაღლე რომ მისცა კორნეევს, ის გვიჩვენებდა თუ რას ნიშნავს ნამდვილი ცენტრი.

მაგრამ კორნეევი არ არის გიგანტი. იგი ხან ცენტრის მოვალეობის შემსრულებელ თავდამსხმელს წააგავს, ხანაც თავდამსხმელის მოვალეობის შემსრულებელ ცენტრს. მაგრამ ჩვენ ამას მის განსაქიქებლად კი არ ვამბობთ. პირიქით. თამაშში ყველაფერი მიზანშეწონილია, რაც კარგად გამოდის. ერთი ასეთი სანახევროდ ცენტრალური თავდამსხმელი მუდამ საჭიროა. კორნეევი თვითმყოფადი კალათბურთელია, ჩვენს გუნდში ერთადერთი, ვინც დაუოკებელი სურვილით მიიწევს მეტოქის ფარისკენ. ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელებმა მაგალითი სწორედ მისგან უნდა აიღონ.

მაგრამ... რა ვუყოთ თავდამსხმელებს? როდესაც ერთი მოთამაშე თავის ძირითად ფუნქციებს მეორე ცენტრის მოვალეობას უთავსებს კარგიცაა და სავალდებულოც. ხოლო თუ ცენტრსა და თავდამსხმელს შორის საერთოდ იშლება ზღვარი? მაშინ რაღა ვქნათ? ცსკა-ში, მაგალითად, როდესაც ვოლნოვი, ლიპსო და კორნეევი (ან ერთ-ერთი მათგანის შემცვლელი ბოროდინი) გამოდიან, ვერ გაიგებ როგორ თამაშობს გუნდი: უცენტროდ, მხოლოდ თავდამსხმელებით, თუ მხოლოდ ცენტრებით, უთავდამსხმელოდ? არა მგონია, რომ ეს „კარგი ცხოვრების" ნაყოფი იყოს.

ლიპსოს თითქოს ყველაფერი რიგზე აქვს, მაგრამ მას ცენტრალურ თავდამსხმელამდე არ ყოფნის არც სიმაღლე, არც მასა და, როგორც ჩანს, არც ძალისმიერი ბრძოლის სიყვარული. ლიპსოს „სუფთა სამუშაო" უფრო ეხერხება, ძალისმიერ ბრძოლას კი იგი კორნეევს უთმობს, ისე, როგორც ფარქვეშ მუშაობას — ვოლნოვს. ფუნქციათა ასეთი განაწილება პრინციპში არ არის სწორი.

საბჭოთა კალათბურთში კატასტროფიულად იზრდება „ულვაშებზე" და პირდაპირ კალათის ქვეშ განლაგებულ სპორტსმენთა რიცხვი. სამაგიეროდ, ფლანგებიდან თავდამსხმელთა და კუთხეებიდან მსროლელთა რაოდენობა ძალზე შემცირდა. ჩემი აზრით, ძალიან ვხურდავდებით, როცა ვოლნოვს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობის მეტოქეთათვის „ვხარჯავთ". სწორედ ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამ უნიჭიერესი კალათბურთელის თამაში ბოლო დროს ერთგვარად გაუფერულდა. თავდამსხმელთა თამაშს დამოუკიდებელი მნიშვნელობა უნდა დავუბრუნოთ. საამისოდ ერთადერთი გზა არსებობს — ცენტრალურ თავდამსხმელთა ოსტატობის მკვეთრი ამაღლება, რომლებმაც ბოლოსდაბოლოს დამოუკიდებლად უნდა იტვირთონ თავიანთი ფუნქციები.

ჩვენ ბევრი კარგი და სხვადასხვა ტიპის კალათბურთელი გვჭირდება. სიახლეს ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ, მას ფართოდ უნდა გავუხსნათ კარი. ამაშია საბჭოთა კალათბურთის მომავალზე ზრუნვა.

დასასრული. იხ. „ლელო" № 117.

ევროპის XIV ჩემპიონატი კალათბურთში. სურათზე: სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდების ნახევარფინალური მატჩის მომენტი. ზ. საკანდელიძე ოსტატურად გადის მეტოქის ფარქვეშ.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

[illegible]

✦ ქობულეთი

„კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ ჩაატარა შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა. ქალებში რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, ვაჟებში კი — ოზმურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა.

ლ. ტრაპაიძე.

● სოხუმი

გამოვლინდა აფხაზეთის პირველობა კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სოხუმის, ტყვარჩელის, გუდაუთის, გულრიფშის, გაგრის, გალისა და ოჩამჩირის რაიონების ბავშვთა სპორტსკოლების გუნდები. როგორც ქაბუკთა, ისე გოგონათა შორის გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

შ. ჯალაღონია.

✦ ზესტაფონი

გაიმართა რაიონის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა „განთიადის" კოლექტივმა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ზ. ცხადაძე, ნ. ნებიერიძე, ს. ლოლაძე, შ. კაპანაძე, ა. მოლოძე, ღ. აბაშიძე, ტ. გაბრიჩიძე, ზ. მარაქველიძე.

ლ. კავთარაძე.

✦ თერჯოლა

ახლახან აქ გაიმართა რაიონული პირველობა მოსწავლე-ფრენბურთელთა შორის. შეჯიბრებაში, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა, გაიმარჯვა თერჯოლის საშუალო სკოლის კოლექტივმა. II ადგილი ერგო სოფელ ნახშირღელის საშუალო სკოლას, ხოლო III — სიმონეთელ მოსწავლეებს.

ლ. ჯიშიაშვილი.

ახალი ამბები

● ჰამბურგი, 15 ივნისი. ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური ჩემპიონატის VIII ტურის გადადებული პარტიების დათამაშებამ ასეთი შედეგი მოგვცა: მატანოვიჩი თამაშის გაუგრძელებლად დანებდა სმისლოვს, უჰლმანი — ბოლესლავსკის, ბოტვინიკი — გლიგორიჩს. შტეინ — პარმას პარტია ყაიმით დასრულდა. ხელმეორედ გადაიდო ლეინ — ჩირინის შეხვედრა, რომელშიც უპირატესობა საბჭოთა მოჭადრაკის მხარეზეა. ამრიგად, ანგარიშია 6:3 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ. რუმინეთ — გფრ-ის მატჩში ჯერჯერობით ანგარიშია 5:4 გერმანელთა სასარგებლოდ, ხოლო უნგრეთ—პოლანდიის მატჩი დასრულდა პირველთა სასარგებლოდ — 6:4.

● ბრომლი (ინგლისი). ჩოგნების ტურნირში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერებმა—ანა დმიტრიევამ და თომას ლეიუსმა. მათ ყველას აჯობეს შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. გამარჯვებულებმა განსაკუთრებით მძიმე ბრძოლა გადაიტანეს ნახევარფინალში, სადაც შეხვდნენ ფ. ვან ჰილიას (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ჯ. მაკ-დონალდის (ახალი ზელანდია) „დუეტს" (წინადღით საბჭოთა ჩოგბურთელების მეტოქეებმა ხელიდან გამოსტაცეს ავსტრალიელებს — მ. მარტის და ფ სტოლს). საბჭოთა ჩემპიონებმა ბრწყინვალე თამაშით (6:4, 6:4) გაიკვლიეს გზა ფინალისკენ. შესანიშნავად გამოვიდა ვ. კოროტკოვი, რომელმაც ორი გამარჯვება იზეიმა: ჯერ მან მოიგო არაუმეტეს 18 წლის ჭაბუკთა ფინალი, შემდეგ კი „ბ" ჯგუფის ტურნირი. სხვა ფინალურ შეხვედრებს შორის ყველაზე საინტერესო გამოდგა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ქალების — მ. ბუენოსი (ბრაზილია) და მ. სმიტის (ავსტრალია) ორთაბრძოლა. გაიმარჯვა სმიტმა — 4:6, 6:3, 6:3.

ოთხი სპეციალისტის აზრით

ფრანგულმა ჟურნალმა „ფუტბოლ მაგაზინმა" ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტებსა და მწვრთნელებს ამას წინათ დაუსვა შემდეგი შეკითხვები:

ა) ემხრობით თუ არა დაცვის სისტემას „4 ხაზზე" „თამაშგარე" მდგომარეობის ხელოვნური შექმნით?

ბ) რაშია ამ სისტემის უპირატესობა?

გ) რა არის მისი ნაკლოვანება?

დ) თუ მისი მომხრე ხართ, რა მოთხოვნებს უყენებთ მცველებს?

ე) როგორ შეიძლება ყველაზე უკეთ მისი დანერგვა და შესრულება?

ვ) როგორია ყველაზე რეალური საშუალებანი მის წინააღმდეგ საბრძოლველად?

ქვემოთ მოგვყავს ოთხი სპეციალისტის პასუხები, რომლებშიც მკითხველი შეხვდება აზრთა გარკვეულ წინააღმდეგობას.

პიერ სინბალდი,

ბელგიის ჩემპიონის „ანდერლეხტის" მწვრთნელი.

ა) მე ვემხრობი და ვემხრობი კატეგორიულადაც.

ბ) სისტემა იძლევა ძალთა კონცენტრაციის საშუალებას, ე. ი. იგი აადვილებს რგოლების ურთიერთკავშირს და უფრო ეკონომიურად ხარჯავს ფიზიკურ რესურსებს.

გ) საქმე მდგომარეობს არა ნაკლოვანებებში, არამედ სისტემის არასწორად გამოყენებაში, რაც ზოგჯერ წესების უსწორო გაგების შედეგია. მსაჯები „თამაშგარე" მდგომარეობას ხშირად ხედავენ იქ, სადაც იგი არ არსებობს.

დ) რასაკვირველია, ყველა მცველი სწორად ვერ ერკვევა სისტემაში. მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ალღოც და სწორი საფეხბურთო აზროვნებაც.

ე) „ანდერლეხტში" ჩვენ საკმაოდ ვიშრომეთ ახალი სისტემის ათვისებაზე, ექსპერიმენტებს ვაწარმოებდით ამხანაგურ მატჩებში, სადაც საშუალება გვქონდა თამაშის მსვლელობაში გაგვეკეთებინა პაუზები ფეხბურთელთათვის საჭირო განმარტებების მისაცემად.

ვ) 4 მცველის ტაქტიკა „თამაშგარე" მდგომარეობის გააზრებული შექმნით წარმოადგენს კოლექტიური თამაშის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ფორმას. რა შეიძლება გამოვიყენოთ მის წინააღმდეგ? იგივე კოლექტიური თამაში პლიუს ინდივიდუალური ოსტატობა.

ალბერ ბატიო,

ფრანგული კლუბის „გრენობლის" მწვრთნელი.

ნება მომეცით თქვენს ანკეტას ვუპასუხო უპუნქტებოდ. გეტყვით პირდაპირ: მე არა ვარ მომხრე მცველთა განლაგებისა „4 ხაზზე", კიდევ მეტიც — მე მისი მოწინააღმდეგე ვარ. არ გამიგოთ ისე, რომ საერთოდ ოთხი მცველის წინააღმდეგი ვიყო, ვინაიდან უამისოდ თანამედროვე ფეხბურთის თამაში შეუძლებელია. წინააღმდეგი ვარ, რომ მათ ერთ ხაზზე ითამაშონ. გარდა ამისა, სწორად არ მიმაჩნია, რომ მათს პერსპექტივას წარმოადგენდეს მხოლოდ „თამაშგარე" მდგომარეობის შექმნა.

„ანდერლეხტი" ამ სისტემით თამაშობს და კარგი მაჩვენებლებიც აქვს, მაგრამ ეს წარმატებები არ მინდა მივაწერო მხოლოდ „ანდერლეხტის" სისტემას, მით უმეტეს, რომ იგი შაბლონით არ თამაშობს. ამ გუნდის კონცეფციები, რამდენადაც მესმის, მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად შეამციროს ინტერვალები რგოლებს შორის. ამით იგი ქმნის მძლავრ ბირთვს, სადაც შეიძლება მაქსიმალურად იქნას გამოყენებული როგორც დაცვითი, ისე თავდასხმითი საშუალებანი. ერთ დროს მადრიდის „რეალი" ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობდა. მისი მცველები ერთ ხაზზე იყვნენ გამწკრივებული, მაგრამ არ ეშინოდათ მისი დარღვევისა. გარდა ამისა, ამ დაცვას არასოდეს მიაჩნდა „თამაშგარე" მდგომარეობის ხელოვნური შექმნა ყოვლისმძლე საშუალებად. მცველს მუდამ უნდა ჰქონდეს საშუალება საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საიერიშო რეიდი.

რა შეიძლება ვურჩიოთ ფორვარდს, როცა იგი თამაშობს მასირებული დაცვის წინააღმდეგ? პირველ ყოვლისა, იგი უნდა იყოს ყურადღებიანი და ფხიზელი. შეიძლება, მაგალითად, მან მოახდინოს გვერდითი გარღვევის სიმულაცია და თან წაიყვანოს მცველი. ეს დაარღვევს მოწინააღმდეგე დაცვის დისპოზიციას და საშუალებას მისცემს ოპერატიულ რეზერვში მყოფ პარტნიორს შეტევის დასამთავრებლად გავიდეს დაუცველ ზონაში. ფორვარდს ახლა სჭირდება გაცილებით მეტი სისწრაფე, ვიდრე ადრე.

ლიუსიენ ლედიუკი,

ჟენევის „სერვეტის" მწვრთნელი.

ა) მე არც წინააღმდეგი ვარ და არც მომხრე, უფრო სწორად, მომხრეცა ვარ და მოწინააღმდეგეც. ეს არაა პარადოქსი, დაცვა „4 ხაზზე" ეფექტურია და სასარგებლო, როგორც ბაზა „თამაშგარე" მდგომარეობის შესაქმნელად. მცველებმა, როგორც გამოცდილებამ დამარწმუნა, სწორება უნდა იქონიონ ან იმ პარტნიორზე, რომელიც იბრძვის ბურთისათვის, ან იმ პარტნიორზე, რომელიც ორთაბრძოლაში მყოფი მოთამაშის დამზღვევია.

მცველთა თამაში ხაზზე ურთიერთდაუზღვევლად არა მარტო უაზრობაა, არამედ სახიფათოც. ჩემი გაგებით, ეს უნდა იყოს დაცვაში მყოფ მოთამაშეთა ერთიანი მოქმედება, რომლის ერთ-ერთ, ვიმეორებ — მხოლოდ ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს „თამაშგარე" მდგომარეობის შექმნა.

ბ) ღირსება ისაა, რომ სწორი განლაგებისას იგი მეტოქის მოქმედებას აფერხებს უფრო მეტად, ვიდრე ზონალური ან პერსონალური დაცვა. ასეთ დროს მეკარესაც უადვილდება თამაში.

გ) უარყოფითი მხარეა ის, რომ თუ თავდამსხმელი ინდივიდუალურად უფრო ძლიერია მცველზე, მას შეუძლია მოქმედების ვრცელი არე შეიქმნას.

დ) ხაზზე თამაში შეუძლიათ მხოლოდ მაღალი ტექნიკის მქონე, ათლეტური აგებულების მცველებს, რომელთაც კარგი ტაქტიკური აზროვნება და ინტუიცია აქვთ.

ე) ჩემი გუნდი კარგა ხანია თამაშობს ამ სისტემით და მიუხედავად იმისა, რომ მასში მაღალი კვალიფიკაციის შემსრულებლები არიან, ჯერ კიდევ არა გვაქვს სისტემა ათვისებული, როგორც ეს საჭიროა.

ვ) ძირითადი საწინააღმდეგო საშუალებებია: განუწყვეტელი „არითმია", ინდივიდუალური გარღვევა, გადაცემის სიმულაცია სულ სხვა პარტნიორის გაყვანით სახიფათო პოზიციაში. კოლექტიური თამაშის გარდა, თანამედროვე „ბეტონის" წინააღმდეგ აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს ინდივიდუალური მოქმედებანი.

ჟორჟ ბულონი,

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ეროვნული ინსტრუქტორი.

ა) მე 4 მცველის მომხრე ვარ, მაგრამ არა „ხაზზე", არამედ ისე, როგორც ამას მინდორზე შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს. გარდა ამისა, ყოველმხრივ უნდა იქნას გათვალისწინებული შემსრულებელთა უნარი და შესაძლებლობანი.

ბ) „ხაზზე" თამაშის პოზიტიური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი იძლევა გუნდის წევრთა გადაჯგუფებისა და გადანაცვლებათა საშუალებას სიღრმეში და არა სიგანეზე. ამაში არის ძალთა ეკონომიის ელემენტი და საკუთარი ფორვარდები იზოლირებულად არ რჩებიან.

გ) ეს სისტემა ძნელი დასანერგია და ფეხბურთელებში ზოგჯერ იწვევს პასიურობას. რატომ უნდა ებრძოლო ფორვარდს, როცა შეიძლება რამდენიმე ნაბიჯით გაიქცე წინ და „თამაშგარე" დატოვო იგი? მაგრამ ამას ზოგჯერ მოჰყვება ხოლმე ის შედეგი, რომელიც ყველაზე არასასიამოვნოა საკუთარი მეკარისთვის.

დ) თუმცა მოწინააღმდეგე ვარ „ხაზისა", მაინც ვეთანხმები, რომ ამ სისტემისთვის საჭიროა ჭკვიანი, ტექნიკური და ერუდირებული ფეხბურთელები. მათი შრომა შემოქმედებითია.

ე) ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში თავს ვიკავებ.

ვ) მე პრაქტიკოსი არა ვარ და სულ სხვა მოვალეობანი მაკისრია. ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ მრავალი საშუალება არსებობს ებრძოლო „ხაზზე" მყოფ დაცვას და ხელოვნურ „თამაშგარე" მდგომარეობას. რაც უფრო მეტად გამოიყენებენ თანამედროვე ფეხბურთში ამ სისტემის საწინააღმდეგო საშუალებებს, მით უფრო ნაკლები დღე დარჩება მას საარსებოდ.

საწყალოსნო თხილამურების სამშობლოდ ინგლისი ითვლება. აქ ყველაზე ადრე ჩატარდა ამ სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც შემდეგ ტრადიციად იქცა.

აი, ამგვარი ტურნირის ერთ-ერთი ფრაგმენტი. შეჯიბრებაში გამარჯვებული ინგლისელი ივონ დეინი თავსატეხ ილეთს ასრულებს საწყალოსნო ბილიკზე.

▲ **ლონდონი.** ტრადიციულმა მარათონულმა რბენამ (ვინძორი — ჩიზუიკი) წელს 122 მორბენალი მიიზიდა. გაიმარჯვა იაპონელმა სტუდენტმა — მ. სიგემაცუმ — 2:12.00,0. ეს საუკეთესო დროა მარათონული რბენის მთელს ისტორიაში და 11,2 წამით ჯობს ა. ბიკილას (ეთიოპია) შედეგს.

▲ **საკრამენტო (აშშ).** მსოფლიო რეკორდსმენი რ. ბოსტონი აქ გამართულ შეჯიბრებაში სიგრძეზე გადახტა 817 სმ-ზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული კვირა

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი (ა. წერეთლის პრ. № 2). 17 ივნისი. სსრ კავშირის თასის გათამაშება. „დინამო" (თბილისი) — „ზნამია ტრუდა" (ორეხოვო-ზუევო). დასაწყისი 20 ს.

საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დღის, სალამოსა და დაუსწრებელი ფაკულტეტების I კურსზე.

ინსტიტუტი ამზადებს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს (სპორტის სახეობათა მიხედვით). დასწრებულ ფაკულტეტებზე სწავლების ვადა 4 წელია, სალამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტებზე — 5 წელი.

განცხადებები ინსტიტუტში შესვლის თაობაზე მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით). განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. დახასიათება-რეკომენდაცია ინსტიტუტში შესვლისთვის, რომელიც გაიცემა უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ (კოლმეურნეთათვის). მოსწავლეთათვის დახასიათება-რეკომენდაციას იძლევიან სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
2. საშუალო განათლების საბუთი (დედანი);
3. ავტობიოგრაფია;
4. ოთხი ფოტოსურათი (3×4 ზომისა);
5. მშთ ნორმატივის I ან II საფეხურის ჩაბარების ცნობა:
6. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის ერთ-ერთ სახეობაში;
7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული საწარმო-დაწესებულების მიერ; ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც მითითებული უნდა იქნას მოხსენებულ კოლმეურნეობაში შრომადღეების დაწესებული მინიმუმი ცალ-ცალკე უკანასკნელ ორ წელს, ინსტიტუტში შემოსვლამდე.

შენიშვნა. ინსტიტუტში ჩარიცხულნი, რომელთაც აქვთ მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, ვალდებული არიან მეცადინეობის დაწყებიდან ორ კვირაში წარმოადგინონ შრომის წიგნაკი.

8. სკოლის ექიმის ან რაიონული პოლიკლინიკის საუბნო ექიმის მიერ შევსებული სამედიცინო მოწმობა (ფორმა № 286);
9. სალამოს ან დაუსწრებელ ფაკულტეტზე შემსვლელნი წარმოადგენენ ცნობას სამუშაო და საცხოვრებელი ადგილებიდან.

შემომსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა), ან მიწერითი ცნობა (გასაწვევი ასაკის პირებმა).

მისალები გამოცდები ტარდება 1-დან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში:

ა) ფიზიკა (ზეპირი);

ბ) ქიმია (ზეპირი);

გ) რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე შემომსვლელთათვის;

დ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) — ქართულ სექტორზე შემომსვლელთათვის:

ე) სპორტული მომზადება (სპორტის ამორჩეული სახეობა, აგრეთვე მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა).

მისალები გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლითა და სტიპენდიით (დადგენილი წესის მიხედვით).

სათანადო ცნობების მიღება შეიძლება მისალები გამოცდების სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49.

საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორატი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, ხამდივნო — 3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05571